შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№22 (9.882)

22 - 29 ივნისი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ეკა ტიკარაძე - ვლელავ, რადგან დაკისრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ

სმარტფონები და მისი გავლენა ადამიანზე



გვ.4

საზოგადოებაში ქალთა მეტი ინტეგრაციისათვის

საქართველო რევოლუციის ზღვარზე

ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს

ჯეირნების მეხუთე თაობა დაიბადა

ორიოდე კვირის წინ, სამუხის ველზე, ლიკლიკები დაიბადნენ. ეს უკვე საქართველოში დაბადებული, ჯეირნების მეხუთე თაობაა! ლიკლიკები თანდათან მოძლიერდნენ და დედებთან ერთად დაიწყეს გადაადგილება. თუმცა, უმეტესობა მათგანი ჯერ კიდევ ბალახებში წოლას და დამალვას ამჯობინებს.

ჯეირნები თავს კარგად გრძნობენ სამუხის ველზე. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მონიტორინგის სპეციალისტმა - ვაჟა ყოჩიაშვილმა ერთ ჯგუფში 7 ლილკიკაც კი დააფიქსირა. ეს საოცარი კადრებიც სწორედ მან მოგვაწოდა.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) 2014 წლიდან ახორციელებს ქურციკების რეინტროდუქციის პროგრამას და ყოველი დაბადებული თაობა, კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში ამ სახეობის სრულფასოვანი პოპულაციის აღდგენისათვის.

იმისათვის რომ მიზანს მივაღწიოთ, ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო. საჭიროა გაგრძელდეს აზერბაიჯანიდაან ქურციკების ტრანსლოკაცია და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარე ხელშემშლელი ფაქტორები. ამისათვის კი აუცილებელია ტრასსასაზღვრო თანამშრომლობის გაგრძელება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

C M Y K

ეკა ტიკარაძე - ვღელავ, რადგან დაკისრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ - ჩვენი შემდგომი ეტაპი რეფორმის მეორე ეტაპის განხორციელებაა

დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არც ერთი საკითხი და არც ერთი პრობლემა არ დარჩეს ჩვენი ყურადღების მიღმა და პერსპექტივაში მივიღებთ რეგიონში ყველაზე წარმატებულ და ადამიანზე ორიენტირებულ სისტემას, - აღნიშნულის შესახებ ჯანდაცვის ახალმა მინისტრმა ეკა ტიკარაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

ტიკარაძემ ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მეორე ტალღა დააანონსა.

„გულწრფელად გეტყვით, ვღელავ, ვგრძნობ დაკისრებულ პასუხისმგებლობას და მინდა მადლობა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს ნდობისთვის და ბატონ დავითს რეკომენდაციისთვის. ჩვენ დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯანდაცვის სისტემის რეფორმის პირველი ფაზა ნამდვილად წარმატებით დასრულდა, რაც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი გუნდის და ბატონი დავითის დამსახურებაა. ჩვენი შემდგომი ეტაპი არის მეორე ეტაპის განხორციელება, რომელიც გულისხმობს მეტად ეფექტურ და მიზნობრივ მართვას. რა თქმა უნდა, ჩვენთვის პრიორიტეტულად რჩება ჯანდაცვაში ისეთი საკითხები, როგორიცაა პაციენტის უფლებების დაცვა, მკურნალობის მაღალი ხარისხი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფარმაცევტული ბაზრის იმგვარი მონესრიგება, რომ ჩვენი მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მაღალხარისხიანი მედიკამენტები, ასევე მთელი რიგი პრობლემები დაკავშირებული სოციალურ სფეროსთან, დევნილებთან და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ჩვენთვის კვლავ რჩება დიდ გამოწვევად“,- განაცხადა ეკა ტიკარაძემ.

ცხოველის წამება პატიმრობით დაისჯება

ცხოველის წამების პირველივე შემთხვევაში, რასაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება მოყვება, განისაზღვრა სასჯელის ახალი ზომა - პატიმრობა, ამის შესახებ კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დამტკიცა, რის შედეგადაც, ცხოველებისადმი არასათანადო და სასტიკი მოპყრობისთვის გათვალისწინებული სასჯელის ზომები გამკაცრდა.

“ცხოველებისადმი არასათანადო მოპყრობის შესახებ კანონპროექტის ინიცირება მოვახდინეთ და საქართველოს პარლამენტმა ის მესამე მოსმენით მიიღო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია და მინდა, პარლამენტის თითოეულ წევრს მადლობა გადავუხადო. ცხოველის წამების პირველივე შემთხვევაში, რასაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება მოყვება, განისაზღვრა სასჯელის ახალი ზომა - პატიმრობა. ჩვენ ძალიან ბევრი შემთხვევა ვნახეთ, თუ როგორ კლავდნენ და ასახიჩრებდნენ ცხოველებს.

ეს ძალიან მძიმე სანახავია და ამ მიმართულებით, კანონის გამკაცრება მნიშვნელოვანია. ასევე, ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, რამაც მისი ტანჯვა გამოიწვია, ადმინისტრაციული სახდელის ზომა გაიზარდა 500 ლარამდე. არასრულწლოვნის მიერ ცხოველის მიმართ არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, მშობლის პასუხისმგებლობა განისაზღვრა”, - აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების საშუალებით, სამომავლოდ, ცხოველებისადმი არასათანადო და სასტიკი მოპყრობის ფაქტების პრევენცია მოხდება.

“აღნიშნული ცვლილებებით, რა თქმა უნდა, კანონი შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან და რაც მთავარია, დადგენილი ნორმები და ჩვენს მიერ განხორციელებული ცვლილებები პრევენციას მოახდენს, რომ სამომავლოდ, მსგავს შემთხვევებს ადგილი არ ჰქონდეს”, - განაცხადა კახა კალაძემ.

მომხმარებელთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოვაჭრეები დაჯარიმდებიან

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ავტორობით, კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა. კანონპროექტის შესაბამისად, აღმასრულებელი ორგანო საქართველოს კონკურენციის სააგენტო იქნება.

კანონპროექტის თანახმად, კონკურენციის სააგენტო, განცხადების საფუძველზე, მომხმარებელთა უფლებების დარღვევის შესაძლო ფაქტს შეისწავლის და მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მოვაჭრეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვეული უფლების აღსადგენად ან/და მოსთხოვს, დადგენილ ვადაში, დარღვევად მიჩნეული ან/და ამ კანონით აკრძალული ქმედების შეწყვეტას. თუ მოვაჭრე დადგენილ ვადაში არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს სააგენტოს გადაწყვეტილებას, მას ჯარიმა დაეკისრება.

რაც შეეხება ჯარიმის ოდენობას, კანონპროექტის თანახმად, ის არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ასევე, დარღვევის 12 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მოვაჭრეს დაეკისრება უკვე დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა.

განმარტებითი ბარათის თანახმად, იქიდან გამომდინარე, რომ სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილება მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით უნდა იყოს პირველ რიგში პრევენციული და არა სადამსჯელო ხასიათის, კანონპროექტის მიხედვით სანქცია იქნება ორსაფეხურიანი. იგი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გააფრთხილებს მოვაჭრეს და მისცემს ვადას დარღვევის აღმოფხვრისთვის. მხოლოდ სააგენტოს მოთხოვნისა და მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტოს ექნება მოვაჭრის დაჯარიმების უფლება.

ევროპა უვიზო რეჟიმის შეჩერებაზე ზოგიერთ ქვეყანასთან უკვე ოფიციალურად ალაპარაკდა

„საფრანგეთში 200%-ითაა გაზრდილი, ასევე 50%-ზე ბევრად მეტითაა გაზრდილი პოლონეთში, შვედეთსა და იტალიაშიც საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის მთხოვნელთა ნაკადი. თუმცა, თუ კიდევ უფრო დრამატული არ გახდა სიტუაცია, ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას არ ველოდები. „თვითონ ევროკავშირის ინტერესებში არ არის საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შეჩერება ამ ეტაპზე, იმიტომ, რომ ეს იქნება ძალიან დიდი კრახი აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის და ამას ძალიან ცუდი პოლიტიკური რეზონანსი ექნება,” - აცხადებს რონდელის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი კახა გოგოლაშვილი.

უკვე თვეებია, ევროკავშირში უფრო და უფრო მოხშირდა საუბრები იმაზე, რომ შესაძლოა, ზოგიერთ ქვეყანას უვიზო მიმოსვლა შეუჩერდეს და მიზეზი შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმის მქონე ქვეყნების მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნის გაზრდილი რიცხვია. „იმ შემთხვევაში თუ პროცესი გაგრძელდება, ევროკავშირმა შესაძლოა, ცალკეულ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შეაჩეროს” - ამჯერად განცხადება ევროკავშირის შს და მიგრაციის კომისარმა დიმიტრის ავრამოპოლუსმა გააკეთა. ევროკომისარმა უვიზო რეჟიმის მქონე ქვეყნების ხელმძღვანელებს მიმართა და აღნიშნა, რომ ამ პრივილეგიის დაცვა მათი პასუხისმგებლობაა. ავრამოპოლუსმა იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი უკიდურესი ზომებისთვის თავის არიდება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

მართალია, ევროკომისარმა პრობლემურად დასავლეთ ბალკანეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები დაასახელა და თქვა, რომ შესაძლოა მათთვის შეჩერდეს გამარტივებული სავიზო რეჟიმი, თუმცა, რიგ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი ძალიან გაზრდილია და გარკვეული პრობლემების წინაშე საქართველოც დგას. გაზაფხულზე საგარეო საქმეთა მინისტრმაც და იუსტიციის მინისტრმაც გააკეთეს განცხადებები, რომ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმს განსაკუთრებული სიძნელეები შეექმნა და თბილისი ყველაფერს აკეთებს, რათა „თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი გართულება, მათ შორის შეჩერების მექანიზმის ამოქმედება. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველომ „შეჩერების მექანიზმის” შესაძლო ამოქმედებაზე პირველი გაფრთხილება ჯერ კიდევ 2018 წელს მიიღო, ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებიდან 10 თვის თავზე. გასულ წელს საქართველოდან თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის ზრდაზე პრეტენზია პირველად გერმანიიდან გაისმა. შემდეგ მას მოჰყვა საფრანგეთიც და საფრანგეთში ეს პრობლემა 2019 წელსაც მწვავედ დგას.

აპრილში საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში 50-მა ოჯახმა ქალაქის ცენტრში კარვებიც კი გაშალეს, სადაც მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად უმძიმეს პირობებში ცხოვრობდნენ და საფრანგეთის ხელისუფლებისგან თავშესაფარს ითხოვდნენ. ასევე იყო პრობლემები ბარსელონაშიც, სადაც მიტოვებული ბაღის შენობაში ცხოვრობენ თავშესაფრის მთხოვნელი საქართველოს მოქალაქეები. ამ ეტაპზე „შეჩერების მექანიზმის” ამოქმედების რეალური საფრთხის წინაშე დგას ალბანეთი, რომელსაც ვიზალიბერალიზაცია 2009 წლიდან აქვს მიღებული და 10 წლის თავზე ჰოლანდიამ დააყენა ევროკომისიაზე საკითხი, რომ ალბანეთს უვიზო მიმოსვლა შეუჩერდეს. პოლიტოლოგი კახა გოგოლაშვილის თქმით, ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მოთხოვნის საფრთხე არსებობს, იმიტომ რომ, ევროკავშირის ახალი რეგულაცია „სწრაფი შეჩერების მექანიზმის” შესახებ განსაზღვრავს ზუსტად იმ სიტუაციებს, როცა შეიძლება შეჩერდეს უვიზო მიმოსვლა ქვეყანასთან. თუმცა, თვლის, რომ საქართველოს ამ ეტაპზე ვიზალიბერალიზაციის შეჩერება არ ემუქრება პოლიტიკური მნიშვნელობის გამო. „ჰოლანდიის მიერ ალბანეთთან დაყენებულ საკითხს რაც შეეხება, ალბანელები წარმოადგენენ ყველაზე დიდ ჯგუფს არალეგალურ მიგრანტებში, ასევე ყველაზე დიდი ჯგუფს კრიმინალურ დაჯგუფებებში და მოუხედავად იმისა, რომ მიგრანტების რაოდენობა ამ ქვეყნიდან მცირდება, პრობლემა მაინც დიდია და ამიტომაც აიმაღლა ხმა ჰოლანდიამ.

“საქართველოსთან მიმართებაში პრობლემაა თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდა რამდენიმე ქვეყანაში, თუმცა, ვფიქრობ, რომ თუ ტენდენცია უახლოეს მომავალში არ გაიზრდება, მაშინ ჩვენ საკითხს არცერთი ქვეყანა არ დააყენებს”, - ამბობს გოგოლაშვილი და მიზეზებსაც განმარტავს. „ნუ დაგვავიწყდება ის, რომ საქართველო ლიდერია აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის. იქ, სადაც ყველანაირი პრობლემებია, იგივე პოლიტიკური არასტაბილურობა მოლდოვაში, უკრაინაში კორუფციის საკითხები და ჯერ არავინ იცის ახალი ხელისუფლება როგორ გამოასწორებს სიტუაციას, სომხეთსა და აზერბაიჯანზე საერთოდ არ არის ლაპარაკი, ბელარუსზე, მითუმეტეს. ეს ის ქვეყნებია, რომელთანაც ურთიერთობების გაუმჯობესება და გავლენების ქონა ევროკავშირის ინტერესებში შედის. “ამ ქვეყნებში ასევე ერთვება რუსული ფაქტორიც, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს თავისი გავლენა განახორციელოს. აი, ამ რეგიონში უვიზო მიმოსვლის შეჩერება, რა თქმა უნდა, პოლიტიკურად კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს თავად ევროკავშირის პოლიტიკისთვის. “ამიტომაც, ისინი მაქსიმალურად შეეცდებიან ეს შესაძლებლობა არ დახურონ და საქართველოს მთავრობასთან დიალოგით, მუშაობით შეეცდებიან შეზღუდონ მიგრაცია და არ მიმართონ უკიდურეს ზომას, როგორიცაა უვიზო მიმოსვლის შეჩერება.

“მე მგონია, აქ პოლიტიკური ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ რომ წმინდა ტექნიკურ მონაცემებზე ვილაპარაკოთ, მაშინ ევროკავშირის საკმაოდ ბევრ სახელმწიფოს აქვს სრული უფლება, შეჩერებასთან დაკავშირებით განაცხადი შეიტანოს. იმიტომ რომ, საუბარია, რომ თუ წელიწადში 50%-ით გაიზარდა თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი, შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფუძველი არსებობს და ბევრ ქვეყანაში 50%-ზე მეტადაა გაზრდილი ნაკადი. “მაგალითად, საფრანგეთში 200%-ითაა გაზრდილი, ასევე 50%-ზე ბევრად მეტითაა გაზრდილი პოლონეთში, შვედეთსა და იტალიაშიც, თუმცა, პოლიტიკურად ეს კატასტროფული იქნება თავად ევროკავშირისთვის. მეორეც, საქართველო პატარა ქვეყანაა და რესურსი ამოწურვადია. “2 წელი შეიძლება იყოს გარკვეული ადამიანების მოზღვავება, მაგრამ ეს ნაკადი შემდეგ კლებას დაიწყებს, ასე მოხდა ბალკანეთის რიგი ქვეყნების შემთხვევაშიც. ასე, რომ თუ ევროკავშირის სახელმწიფოებს რაღაც კატასტროფულ პრობლემებს არ შევუქმნით, მაშინ ასეთ ნაბიჯს არ გადადგამენ. თუმცა, გაფრთხილება და დიალოგი ხელისუფლებასთან ამ თემაზე ყოველთვის იქნება, რომ კონტროლიდან არ გავიდეს ეს პროცესი”, - ამბობს გოგოლაშვილი.

საქართველო რევოლუციის ზღვარზე

თბილისი. 20 ივნისი. პარლამენტის სავარძელში მოკალათებული რუსი კომუნისტური პარტიის წევრი გავრილოვი და აღშფოთებული საქართველოს მოსახლეობა, რომლებმაც ამ ფაქტის გასაპროტესტებლად პარლამენტის შენობასთან შეკრება გადაწყვიტეს. მშვიდობიანი აქცია და რამდენიმე საათის შემდეგ უკიდურესად დაძაბული სიტუაცია. პარლამენტის შენობაში შეღწევის რამდენიმე მცდელობა, დაპირისპირება სამართალდამცველებთან, ცრემლსადენი გაზი და დაშავებულები, როგორც სამართალდამცველთა მხრიდან, ასევე მოქალაქეებიდან, დაშავებულთა შორის აღმოჩნდნენ ჟურნალისტებიც... განცხადებები ორივე მხრიდან: „ოცნების" მაღალჩინოსნების განცხადებები იმაზე, რომ რაც პარლამენტის წინ ხდება, ეს არის ანტიკონსტიტუციური და შტურმი სახელმწიფო ინსტიტუტებზე. ოპოზიციიის განცხადებები, რომ ოკუპანტი სახელმწიფოს დეპუტატების პარლამენტში მიმყვანი ხელისუფლება უნდა წავიდეს და სანამ გახარია, კობახიძე და გომელაური არ გადადგებიან, პროტესტი არ შეწყდება. სერგეი გავრილოვმა და რუსეთის დუმის სხვა დეპუტატებმა, სასწრაფო წესით, საქართველო დატოვეს, თუმცა თბილისში რუსთაველის გამზირზე რუსი დეპუტატების გამო დაწყებულმა საზოგადოების დიდმა საპროტესტო აქციამ დაძაბულობის პიკს გვიან ღამით მიაღწია, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე მომიტინგეების ნაწილმა პარლამენტის შენობაში შეღწევა რამდენჯერმე სცადა და ადგილზე მობილიზებულ სამართალდამცველებთან არაერთი დაპირისპირებაც მოხდა.

დაპირისპირებების გამო პარლამენტის შენობაში მივიდა შს მინისტრიც. „დაემორჩილეთ პოლიციის მოთხოვნას, რაც ხდება ამას ქვია სახელმწიფო ინსტიტუტების შტურმი... თავდასხმა პოლიციაზე, თავდასხმა პარლამენტზე, როგორი დასასრულიც არ უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევას, ყველა დაისჯება კანონის სიმკაცრით. ყველას ვთხოვ, პატივი ვცეთ პოლიციელს, რომ ღირსეულად შეასრულოს თავისი ფუნქცია",- განაცხადა გიორგი გახარიამ. გახარიამ ასევე თქვა, რომ „როგორც კი საჭირო იქნება, მაშინვე გადადგება". მმართველი პარტიის გენმდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ თქვა, რომ „რაც პარლამენტის წინ ხდება, გასცდა გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოებს და შეიძინა ანტიკონსტიტუციური ხასიათი". ამ განცხადებებამდე კი იყო „ნაცმოძრაობის" ლიდერის ნიკა მელიას განცხადებაც, რომ თუკი პარლამენტის სპიკერის სკამზე შეიძლება ჩასვან ოკუპანტი ქვეყნის დეპუტატი, ხალხსაც აქვს უფლება, შევიდეს ამ შენობაში და ამას მოჰყვა მომიტინგეების რაღაც ჯგუფების მიერ პარლამენტის შენობაში შესვლის რამდენიმე მცდელობაც, შეხლა-შემოხლაც პოლიციელებთან, გაზის გაშვებაც.

რამდენიმეათასიანი საპროტესტო აქცია სახელწოდებით "სირცხვილია" პარლამენტის შენობის წინ 19 საათზე დაიწყო. მომიტინგეებმა გზები გადაკეტეს. ლიდერებმა სამი მოთხოვნა წამოაყენეს - გადადგეს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, გადადგეს შს მინისტრი გიორგი გახარია და გადადგეს სუსის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური. ხოლო, თუკი ხელისუფლება ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს, ჯერ დაანონსდა, რომ პარლამენტის შენობას მშვიდობიანად დაიკავებენ. ასევე დაანონსდა, რომ 12 საათის შემდეგ „დაიწყებენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, გადაკეტავენ გზებს, რკინიგზას". მთელი ამ ხმაურის ფონზე კი პროტესტის ერთ-ერთმა მთავარმა ადრესატმა, პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ თითოეული ღონისძიების მენეჯმენტზე პასუხისმგებელია თვითონ, მაგრამ ოპოზიციის მოთხოვნა არასერიოზულია.

ამასთან, კობახიძემ თქვა, რომ თუ ოპოზიცია რაიმე ისეთს განიზრახავს, რაც კანონის ჩარჩოებში არ ჯდება, მაშინვე მიიღებენ მყისიერ პასუხს. ეს აღშფოთება-პროტესტი მოჰყვა იმ ფაქტს, როცა ხუთშაბათს დილით საქართველოს პარლამენტში პრეზიდიუმის თავში და სპიკერის სავარძელში აღმოჩნდა რუსეთის სათათბიროს დეპუტატი სერგეი გავრილოვი, ადამიანი, რომელიც ცნობილია თავისი ანტიქართული განცხადებებით და რომელიც აფხაზეთში იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ. წითელი ხაზი აღმოჩნდა ის, რომ გავრილოვმა ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან და თან, რუსულ ენაზე წაიყვანა სესია საქართველოს პარლამენტში. პროტესტი ჯერ თავად პარლამენტის დარბაზში ოპოზიციამ - „ნაციონალურმა მოძრაობამ" და „ევროპულმა საქართველომ" დაიწყო. სპიკერის სავარძელში ჩამჯდარი გავრილოვის ფოტოსა და ვიდეოს გავრცელების შემდეგ კი პარლამენტთან სამოქალაქო სექტორი და რიგითი ადამიანები მივიდნენ. ამის შემდეგ მოუწია „ოცნების" მთელ გუნდს, დაეგმო ფაქტი. მთავარი ბიძგი მათთვის პარტიის თავმჯდომარის განცხადება გახდა, რომელმაც თქვა, რომ „დაუშვებელია, საქართველოს პარლამენტში ოკუპანტი სახელმწიფოს წარმომადგენელი ხელმძღვანელობდეს რაიმე სახის ფორუმს".

"ბიძინა ივანიშვილმა თქვა ისიც, რომ „ეს იყო პროტოკოლური შეცდომა", რომლის პოლიტიკური მნიშვნელობა, სამწუხაროდ, ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს, რასაც აუცილებლად უნდა მოყვეს შესაბამისი რეაგირება". ივანიშვილის ამ დაგმობას მოჰყვა შემდეგ „ოცნების" ყველა ლიდერისა თუ რიგითი წევრის აღშფოთებული განცხადებები, რომ ფაქტი მათთვისაც მიუღებელია და რომ არ იცოდნენ, სერგეი გავრილოვი სპიკერის სავარძელში თუ ჩაჯდებოდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი იმაზეც ალაპარაკდა, რომ იმ ადამიანების პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, ვინც ეს სესია ამ ფორმით მოაწყო. თუმცა კონკრეტულად ვინ და როგორ უნდა დაისაჯოს, ეს მმართველ პარტიაში არავის უთქვამს. მხოლოდ თავად ზაქარია ქუცნაშვილმა ჟურნალისტების მიერ დასმული შეკითხვის პასუხად თქვა, რომ თუკი ვინმეს პასუხისმგებლობაა აუცილებელი, მზადაა, ეს თავის თავზე აიღოს, როგორც ქართული მართლმადიდებელი დეპუტატების დელეგაციის ხელმძღვანელმა და ამ სესიის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. ოპოზიციამ კი განაცხადა, რომ კი ქუცნაშვილი უნდა წავიდეს პარლამენტიდან და ასევე სპიკერობიდან უნდა წავიდეს ირაკლი კობახიძე. „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ კობახიძეს მოუწოდა, აიღოს პასუხისმგებლობა მომხდარ ფაქტზე და გადადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დააანონსა.

„ნაცმოძრაობის" დეპუტატმა ნიკა მელიამ განაცხადა, რომ პარლამენტში განვითარებული მოვლენების შემდეგ კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარე ვეღარ იქნება და სასესიო დარბაზში ვეღარ შევა. კობახიძის იმპიჩმენტი მოითხოვა „ოცნებიდან" წამოსულმა თბილისის საკრებულოს დეპუტატმა ვატო შაქარიშვილმაც. მან საქართველოს პარლამენტში ბანერი გამოფინა წარწერით: „კობახიძე = გავრილოვს! დაიწყოს პარლამენტის თავმჯდომარის იმპიჩმენტის პროცესი". კობახიძის გადაყენებაზე მოთხოვნები კიდევ უფრო ხმამაღალი გახდა მას შემდეგ, რაც გავრცელდა დოკუმენტი, სადაც უშუალოდ კობახიძე აწერს ხელს პარლამენტში სესიის ჩატარების მომზადებასა და პრეზიდიუმის გათავისუფლებას ასამბლეის ხელმძღვანელებისთვის. ასამბლეის პრეზიდენტი კი ამჟამად სწორედ გავრილოვია.

„თავისთავად ის ფაქტი, რომ ამას მოჰყვა საზოგადოების მღელვარება, მათ შორის მმართველ პარტიაშიც, რომ იძულებულები არიან ეძებონ „განტევების ვაცი", ეს პოზიტიური ნაბიჯია, რადგან პრორუსულად განწყობილმა ჯგუფებმა ქვეყნის შიგნით, ასევე თავად დელეგაციის წევრებმაც და მოსკოვმაც დაინახეს, როგორია პროტესტი რუსეთისადმი. ვინ იქნება ხელისუფლებისთვის განტევების ვაცი - ამის დაკონკრეტება გამიჭირდება-ამბობს ექსპერტი ძაბირაძე.

21 მაისს, მმართველი პარტიის ოფისში გამართული პოლიტსაბჭოს შემდეგ, თანამდებობა დატოვა პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ,ხოლო პარლამენტარის მანდატი-ზაქარია ქუცნაშვილმა.

როგორც პოლიტიკურმა ექსპერტებმა აღნიშნეს, ყველანაირი ძალადობა მიუღებელია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის. თუკი გვინდა, რომ ჩვენს ისტორიულ რეალობასა და წიაღს დავუბრუნდეთ, სდაც მუდმივად იყო სწრაფვა ევროპისაკენ და პროგრესისაკენ, მაშინ უარი უნდა ვთქვათ კანონის დარღვევაზე, აგრესიაზე, რევოლუციაზე...

რევოლუციები საქართველოს არ სჭირდება. არც - პარლამენტში შეჭრით ვითარების "გაუმჯობესება". ეს უკან წასასვლელი გზაა. მართალი იყო ლეხ ვალენსა, რომელმაც თქვა: "როგორი უნდა იყოს მომავლის რევოლუციონერი? - ის საერთოდ არ უნდა იყოს".

პრობლემები (რომლებიც, სამწუხაროდ, არა ერთი გვაქვს და, მათ შორის - ხელისუფლების "დამსახურებითაც") ცივილიზებული გზით უნდა მოგვარდეს. პროტესტიც ცივილიზებული უნდა იყოს და არა კანონსაწინააღმდეგო.

ძალადობა არ შობს სამართლიანობას.

მსოფლიომ და საქართველომაც ეს არაერთხელ ნახეს და გამოსცადეს.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

საზოგადოებაში ქალთა მეტი ინტეგრაციისათვის

დედოფლისწყაროს „ქალთა ოთახს" ახალი კოორდინატორი ჰყავს-ნინო გომელაური. ნინო 1992 წელს დაიბადა ქ. დედოფლისწყაროში, 2010 წელს დაამთავრა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა, ხოლო 2014 წელს -საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტი. მუშაობდა საქართველოს ლიბერთი ბანკში. როგორც ნინო გაზეთ „შირაქთან" საუბრისას აღნიშნავს, „ქალთა ოთახი მუნიციპალიტეტის შენობაშივე გამოყოფილი სივრცეა, სადაც მოწყობილია სამუშაო გარემო შეხვედრებისა და ტრეინინგებისათვის და საბავშვო კუთხე, რომელიც ქალებს საშუალებას აძლევს, აღნიშნული სივრცე აქტიურად გამოიყენონ საქმიანი მიზნებისთვის. ჩემი მიზანია, ყველანაირად შევუწყო ხელი დედოფლისწყაროელ ქალბატონებს, რათა მათ უკეთ მოახერხონ როგორც ეკონომიკური გაძლიერებისთვის პროექტებში ჩართვა, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობაში ინტეგრაცია. როგორც ხედავთ, აქ ამისთვის ყველა პირობაა შექმნილი".

მთელი ცივილიზებული მსოფლიო აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. დაუშვებელია მათი დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით. თითოეულმა სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო პირობები, რათა უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გენდერული თანასწორობა, რომელიც ადამიანის უფლებათა განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, გულისხმობს სქესთა თანასწორობას, ქალისა და მამაკაცის უფლებას თანაბრად მონაწილეობდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანასწორად სარგებლობდნენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

„ქალთა ოთახი" არის „მერსი ქორის" და შვეიცარიის მთავრობის ერთობლივი პროექტის „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის" იდეა, რომელიც არის მუნიციპალური სერვისი და ქალთა სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას და ადგილობრივ მმართველობაში ინტეგრაციას ემსახურება.

ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს

კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გივი მეტრეველი რეგიონული პროექტების სამსახურის კოორდინატორთან, გიორგი კიკნაძესთან ერთად დედოფლისწყაროს ეწვია. სტუმრებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და მერის პირველ მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში ხორციელდება. მათი რაოდენობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2019 წლის ბოლომდე 50-ს გადააჭარბებს.

სმარტფონები და მისი გავლენა ადამიანზე

სმარტფონებისა და სოციალური ქსელების გამოჩენამ უდიდესი ტექნოლოგიური წინსვლა გამოიწვია, რომელიც კაცობრიობას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, ნანახი არ ჰქონდა. "სმარტფონებმა" და "ტაბლეტებმა" მოზარდების ცხოვრების ყველა ასპექტი შეცვალა – ურთიერთობებიდან დაწყებული, ფსიქიკური ჯანმრთელობით დამთავრებული. თანამედროვე ადამიანები, რომლებიც დროის დიდ ნაწილს მოგილური ტელეფონებით ურთიერთობაში ატარებენ, ნაკლებად იციან, თუ როგორ მუშაობენ ისინი და აქვთ თუ არა გავლენა ჩვენს ორგანიზმზე. რამდენად მავნეა მოგილური ტელეფონების გამოსხივება? იწვევს თუ არა ტელეფონის მუდმივი გამოყენება ჯანმრთელობის პრობლემებს? რის გაკეთება შეიძლება მავნე ზემოქმედებისგან თავდასაცავად?

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მრავალი წლის განმავლობაში ცდილობენ,

დღემდე არ გამოქვეყნებულა არცერთი დამაჯერებელი კვლევა, რომელიც ამ საკითხზე კამათს წერტილს დაუსვამდა. ცნობილია ის, რომ მობილური კავშირი რადიოსიხშირულ დიაპაზონში ელექტრომაგნიტურ ტალღებს წარმოქმნის, რასაც არაიონიზებულ გამოსხივებას მიაკუთვნებენ. ეს ტალღები ბევრად სუსტია, ვიდრე იონიზებული გამოსხივება, რომელიც რენტგენული სხივების (ინფრაწითელი და გამა-გამოსხივების) მსგავსია. მათ ორგანიზმის ქსოვილებში შეღწევა და დნმ-ის სტრუქტურის შეცვლით უჯრედების დაზიანება შეუძლია. მიუხედავად მყარი სამეცნიერო დასკვნების არარსებობისა, ამერიკის ონკოლოგიური საზოგადოებაის(ACS) ინფორმაციით, არსებობს საკმაოდ რეალური საფრთხე, რომ ტელეფონებმა გაზარდონ სხვადასხვა სახის სიმსივნეების წარმოქმნის რისკი თავის ტვინისა და კისრის მიდამოებში. ძალიან მაღალი ინტენსივობის შემთხვევაში რადიოტალღებს შეუძლიათ სხეულის ქსოვილის გაცხელება. მიუხედავად იმისა, რომ ენერგია, რომელსაც მობილური ტელეფონები ასხივებენ, მცირეა და ის არ არის საკმარისი ადამიანის ორგანიზმში ტემპერატურის გაზრდისათვის, ACS-ის მკვლევარები ამბობენ, რომ მკაფიოდ არ არის გარკვეული აყენებენ თუ არა ისინი ზიანს ადამიანს.

როგორ ზომავენ ტელეფონების გამოსხივების დონეს?

ჯანმრთელობისთვის გამოსხივების პოტენციური რისკების შესაფასებლად, მეცნიერებმა საზომი ერთეული - ელექტრომაგნიტური ენერგიის შთანთქვის კუთრი კოეფიციენტი (Specific Absorption Rate - SAR) შექმნეს. ეს ელექტრომაგნიტური ენერგიის მაჩვენებელია, რომელსაც მობილურის გამოყენების დროს ადამიანის სხეულის ქსოვილები შთანთქავს. მწარმოებლები ვალდებულები არიან, მომხმარებელს მათი პროდუქციის მიერ გამოსხივებული SAR-ის მაქსიმალური დონის შესახებ აცნობონ. ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტში ან მითითებული უნდა იყოს ტელეფონის ინსტრუქციაში. თუმცა, მას მომხმარებლების დიდი ნაწილი ყურადღებას არ აქცევს. გერმანიის რადიაციისგან დაცვის ფედერალურმა უწყებამ (B f S) შექმნა მონაცემთა ბაზა, რომელშიც ერთმანეთთანაა შედარებული ახალი და ძველი სმარტფონები იმისთვის, რომ მომხარებლებმა ნახონ, რომელს უფრო მეტი გამოსხივება აქვს და რომელს - ნაკლები. SAR-ის მნიშვნელობა განისაზღვრება მობილური ტელეფონის ტექნიკური მახასიათებლებით (გამოსხივებული სიმძლავრე, ეკრანირება და სხვა). ამავე დროს, SAR-ის სიდიდე დამოკიდებულია ადამიანის თავთან მობილური აპარატის ძირითადი გამომსხივებელი ანტენის სიახლოვეზე. ტელეფონით საუბრისას, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ანტენის განთავსების ადგილი მობილური ტელეფონის კორპუსში.

რომელ ტელეფონს აქვს მეტი გამოსხივება და რომელს - ნაკლები?

პირველ ადგილზე, ყველაზე მაღალი გამოსხივების დონით, ჩინური ბრენდები აღმოჩნდა, მაგალითად OnePlus-ი და Huawei-ი, ასევე კომპანია Nokia-ს Lumia 630. ცნობილია ასევე iPhone 7-ის (მეათე ადგილი), iPhone 8-ის (მეთორმეტე ადგილი) და iPhone 7 Plus-ის (მეთხუთმეტე ადგილი) მონაცემები, ასევე Sony Experia XZ1 Compact-ის (მეთერთმეტე ადგილი), ZTE Axon 7 მინი-ის (მეცამეტე ადგილი) და Blackberry DTEK60-ის (მეთოთხმეტე ადგილი). სამწუხაროდ, არ არსებობს რაიმე უნივერსალური რჩევა მობილურის გამოსხივების „უსაფრთხო" დონის შესახებ. თუმცა, გერმანიაში არსებობს სამთავრობო ორგანო Der Blaue Engel („ლურჯი ანგელოზი"). ის აწესებს ეკოლოგიურ სტანდარტებს, რომლებიც მომხმარებლებისთვის სანდო გზამკვლევადაა მიჩნეული. უწყება უსაფრთხოდ მიიჩნევს მხოლოდ იმ მობილურ ტელეფონებს, რომელთა SAR-ის მაჩვენებელი არ აჭარბებს 0,60 ვატს 1კგ-ზე. ყველა იმ ტელეფონის SAR-ის მაჩვენებელი, რომელიც მათ სიაში მოხვდა, ამ მაჩვენებელს ორჯერ აჭარბებს. სიის სათავეში კი არის მოდელი OnePlus 5T (1,68 ვატი/კგ). ყველაზე ნაკლები გამოსხივება აქვს ისეთ სმარტფონებს, როგორებიცაა: Sony Experia M5 (0,14), Samsung Galaxy Note 8 (0,17) და S6 edge+ (0,22), Google Pixel XL (0,25) Samsung Galaxy S8 (0,26) და S7 ედგე (0,26).

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარდა კვლევა იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ელექტრომაგნიტური დასხივება მივიღოთ მობილური ტელეფონის მოხმარებისა და შერჩევისას. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თავი მოუყარა 2 700-მდე მობილური ტელეფონის SAR-ის მონაცემებს და შექმნა ონლაინ მობილური ინფორმერი. მობილური ტელეფონების პოტენციურ მყიდველებს შესაძლებლობა აქვთ მობილური ტელეფონის აპარატის შერჩევისას მიიღონ ინფორმაცია SAR-ის მონაცემების შესახებ. (შენიშვნა: ტესტები SAR-ის გაზომვაზე ტარდება მობილური ტელეფონის სტანდარტულ მუშა მდგომარეობაში, ამასთან, ტელეფონი უნდა მუშაობდეს გამოსხივების მაქსიმალურ სიმძლავრეზე და ყველა სერტიფიცირებულ დიაპაზონში).

1.როგორ შევარჩიოთ ნაკლები გამოსხივების დონის მობილური ტელეფონი?

იმათთვის, ვისაც სურს აირჩიოს ტელეფონი გამოსხივების ნაკლები დონით, რეკომენდაცია ეძლევათ იხელმძღვანელონ შემდეგი მარტივი წესებით: დაინტერესდით რამდენია ამ ტელეფონის SAR; ეს შესაძლებელია გააკეთოთ წინასწარ, ინტერნეტის საშუალებით; აირჩიეთ მოდელი SAR-ის მცირე მნიშვნელობით; გაარკვიეთ მობილური ტელეფონის კორპუსში ანტენის განთავსების ზუსტი ადგილი (ძირითადად ის განთავსებულია ტელეფონის კორპუსის ზედა ნაწილში). მათ, ვისაც სურთ, მთლიანად აიცილონ ზემაღალი სიხშირის ზემოქმედება, რეკომენდაცია ეძლევათ გამოიყენონ სხვადასხვა მოწყობილობებს შორის ინფორმაციის უსადენო გაცვლის ტექნოლოგია (უსადენო ყურსასმენები) — ბლუთუზი (Bluetooth).

2.შეუძლია თუ არა ჩართულ ტელეფონს ლოდინის რეჟიმში (idle/standby) ზიანი მიაყენოს ადამიანს? რომელ რეჟიმშია მობილური ტელეფონის გამოსხივება ყველაზე საშიში?

თუ ტელეფონი იმყოფება ლოდინის რეჟიმში, მაშინ გამოსხივება უმნიშვნელოა, ვინაიდან საბაზო სადგურთან მონაცემების გაცვლა წამის მეათედებში მიმდინარეობს. ამდენად, ამ შემთხვევაში ტელეფონი შეიძლება გქონდეთ იქ, სადაც მოხერხებულია თქვენთვის. ლაპარაკის დროს კი შეეცადეთ ტელეფონი გეჭიროთ გარკვეულ მანძილზე თავიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სარგებლობთ გარნიტურით. აქვე აუცილებელია განვმარტოთ, რომ თავად ტელეფონით საუბარი იყოფა ორ ნაწილად: სხვა აბონენტის გამოძახება და საუბარი. გამოძახების დროს თქვენი ტელეფონი საბაზო სადგურის მეშვეობით უკავშირდება სხვა აბონენტს. ამასთან, რაც უფრო ახლოს არის საბაზო სადგური, მით უფრო ნაკლები სიმძლავრით ერთვება თქვენი ტელეფონი, ვინაიდან ხდება საბაზო სადგურთან მობილური ტელეფონის სიმძლავრის ადაპტაცია. შემდეგ ხდება ჩართვა. სწორედ ჩართვის პროცესში ვითარდება ელექტრომაგნიტური სიმძლავრის ნაკადის მაქსიმალური სიმკვრივე. კერძოდ, GSM სისტემებისათვის დაახლოებით 18 მვტ/სმ2, მაშინ როდესაც საუბრისას სიმძლავრის ნაკადის მაქსიმალური სიმკვრივე შეადგენს მხოლოდ 2 მვტ/სმ2, ე.ი. 9-ჯერ ნაკლებს. ამდენად, მობილურ ტელეფონს ყველაზე მეტი გამოსხივება აქვს კავშირის დამყარების მომენტში და არა მაშინ, როდესაც თქვენ საუბარს ახორციელებთ. რკინაბეტონის კონსტრუქციის შენობებში შესაძლებლობისდაგვარად უნდა მიხვიდეთ ფანჯარასთან, ან კიბეებს შორის. ცუდი მიღების შემთხვევაში, მობილური ტელეფონით ზარის განხორციელების დროს, ელექტრომაგნიტური გამოსხივება მკვეთრად იზრდება. თუ იმყოფებით ცუდი მიღების ზონაში, საუბრის ხანგრძლივობა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოთ, ან, შეძლებისდაგვარად, ხმოვანი შეტყობინებიდან გადახვიდეთ SMS შეტყობინებაზე. SMS-ის გაგზავნის შემთხვევაში, როგორც წესი, გადაცემის ხანგრძლივობის სიმცირიდან გამომდინარე, ზეგავლენაც მცირეა.

5. როგორ უნდა გვეჭიროს მობილური ტელეფონი?

საუბრისას ტელეფონი უნდა გვეჭიროს ისე, რომ ანტენა ხელით არ დავფაროთ. ხელით არ უნდა დავფაროთ კორპუსის მესამედზე მეტი. თქვენი ტელეფონიდან გამომავალი ზარის შემთხვევაში, ყურმილი ყურთან უნდა მიიტანოთ ნომრის აკრეფიდან რამოდენიმე წამის შემდეგ. ხანგრძლივი საუბრისას რეკომენდებულია მოიხსნათ მეტალის ჩარჩოიანი სათვალე, ვინაიდან ასეთმა ჩარჩომ შეიძლება შეასრულოს მეორადი გამოსხივების როლი და გამოიწვიოს გამოსხივების სიმძლავრის გავლენის გაზრდა. სასურველია, არ ვისაუბროთ მობილური ტელეფონით 4-5 წუთზე მეტი.მობილური ტელეფონის ტარება ყველაზე უსაფრთხოა ბარძაყის გარე მხარეზე, მუხლს ზემოთ. არ არის მიზანშეწონილი ლაპარაკი მანქანის სალონიდან, ვინაიდან მანქანიდან საუბრისას მანქანის კორპუსი მნიშვნელოვნად ამცირებს საბაზო სადგურიდან მოსული ელექტრომაგნიტურ სიმძლავრეს, რაც ზრდის მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივების სიმძლავრესაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 8 წლამდე ბავშვების მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობას და მაქსიმალურად უნდა შევზღუდოთ საუბრის ხანგძლივობა. ამ შემთხვევაში ლაპარაკის ხანგრძლივობა უნდა შევზღუდოთ 1-2 წუთით.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

გარემოს ცვლილება და ადამიანი

ბედნიერებისკენ სწრაფვა წარმოადგენს ადამიანის არსებობის მთავარ მიზანს, უამრავი კვლევებია მიძღვნილი ამ ფენომენის შესასწავლად მთელ მსოფლიოში. ბედნიერება, ცხოვრებით კმაყოფილება, სუბიექტური კეთილდღეობა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა ეს ის ცნებებია, რომელიც ასოცირდება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან.

ბედნიერების კონცეპტი წარმოადგენს პოზიტიურ ფსიქოლოგიის ქვაკუთხედს. ადამიანი მაშინ გრძნობს, რომ არის ბედნიერი, როდესაც მის ცხოვრებაში დადებითი ემოციები უარყოფით ემოციებს სჭარბობს.

ვიცით, რომ სამყარო ერთიანი სისტემაა, რომლის ნაწილები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ადამიანი ამ სისტემის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ მისი ცხოვრება უშუალოდ უკავშირდება გარე სამყაროს და გარემო ფაქტორებს. ძალიან ხშირია ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მომენტები, როდესაც სახლიდან სადმე მივემგზავრებით ან, თუნდაც, ორიოდე დღით ახლობელს ვსტუმრობთ, ანდა სასწავლო შვებულებაში გავდივართ და გვიწევს ადგილმდებარეობის შეცვლა. ეს ყველაფერი კი, უმეტეს შემთხვევაში ძალიან პოზიტიურად აისახება ჩვენზე, თუ, რა თქმა უნდა, გარემოს ცვლილება მთლიანად კავშირში არ არის იძულებით გადაადგილებასთან ან რაიმე არასასიამოვნო ფაქტის გამო ცვლილებასთან.

ამ მოვლენას რომ უფრო შესაფერისი ახსნა-განმარტება მივცეთ, ვესაუბრებით ფსიქოლოგს და ექსპერტს ანთროპოლოგიის საკითხებში, ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს და რესპოდენტს, ბატონ ბესიკ გიბოლაშვილს.

-ბატონო ბესო, რით ახსნით, რომ ადამიანების ადგილმდებარეობის დროებითი ცვლილება დადებითად აისახება მათზე,სასიამოვნო ენერგიით მუხტავს და ეს მუხტი კარგა ხანს ასაზრდოვებს და უნარჩუნებს კეთილგანწყობას, ხალისს, სიხარულს...

-ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია საარსებო გარემოს შეცვლა. ადამიანის, ანდა მთლიანად საზოგადოების, ცხოვრებაში საარსებო გარემოს მიზანმიმართული განვითარება და გაუმჯობესება ერთი ყველაზე აუცილებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს.

სასიცოცხლო გარემოს შემოქმედებითი შეცვლა და რუტინული ერთფერონვნებისაგან თავის დაღწევა, ძირითადად, დადებითად მოქმედებს ნებისმიერ ჩვენგანზე.

უმთავრესად ორი მკაფიო მახასიათებელი შეიძლება თამაშობდეს მნიშვნელოვან როლს: ადამიანის საარსებო გარემოს მიზანმიმართული შეცვლა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. სწორედ აღნიშნული სახის სტიმულირება აიძულებს ასობით ათას ჩვენს თანამემამულეს, რომ საკუთარი ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარონ ემიგრაციაში და იქ გამომუშავებული თანხით არჩინონ სამშობლოში დარჩენილი ოჯახები. ეს არის ყველაზე უმთავრესი ფორმა ადამიანის საარსებო გარემოს ცვლილებისა.

მეორე მახასიათებელი ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფს აღენიშნება: ჩვენი საარსებო, რუტინული ერთფერონვნების დასარღვევად ხანდახან ვცდილობთ უჩვეულო, ეგზოტიკური და ზოგჯერ საკმაოდ ექსტრემალური გარემოს შექმნას და იქ ჩვენი ფიზიკური, ფსიქიკური თუ გონებრივი შესაძლებლობის მეტნაკლებად წარმატებული რეალიზების შედეგად, საკუთარი უნიკალურობისა თუ განუმეორებლობის განცდით დატკბობას და მიღწეული შედეგებით მიღებულ ფსიქოლოგიურ სიამოვნებას.

სწორედ ასეთი სტიმული ამოძრავებს ხოლმე ადამიანებს, რომ უჩვეულო, სარისკო პირობების მიუხედავად, მიაღწიონ რაიმე შედეგს. ხსენებულ ჯგუფს განეკუთვნებიან, მაგალითად, მთამსვლელები, მყვინთავები,მონადირეები და ა.შ.

სწორედ რომ გამორჩეული შედეგების მიღწევადობის განცდა იწვევს ქვეცნობიერად ადამიანში ფსიქიკური სტაბილურობის, გამორჩეულობის და ცალკეულ შემთხვევაში- განუმეორებლობის განცდას, რაც ადამიანში არსებული ბედნიერების განცდაში გადაიზრდება ხოლმე.

ზემოთ ხსენებული ორი ძირითადი ფაქტორი უწყობს ხელს საარსებო გარემოს ცვლილებისადმი ადამიანის მარადიულ სწრაფვას...

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

ხარისხის ნიშნის ახალი რეგულაცია

ხარისხის ნიშანი - აღნიშვნაა, რომელიც ერთი ან მეტი კატეგორიის სურსათის სპეციფიკურ მახასიათებლებს ან სპეციფიკურ არეალში გამოყენებულ წარმოება/დამუშავების კონკრეტულ მეთოდ(ებ)ს უკავშირდება. ასეთი აღნიშვნის გამოყენება სურსათს, მსგავსი კატეგორიის სხვა სურსათთან შედარებით, განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს. 2019 წლის მაისის დასაწყისში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთაწმინდის პარკში, ჩაისა და თაფლის ფესტივალის ფარგლებში, ხარისხის ნიშანთან დაკავშირებული ახალი რეგულაციის პრეზენტაცია წარადგინეს. ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსმა“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროზე დაყრდნობით გაავრცელა.

სამინისტროს განმარტებით, რეგულაცია კიდევ ერთი მხარდაჭერაა სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ქართული პროდუქციის ხარისხის გაზრდას, მის პოპულარიზაციასა და დაცვას ემსახურება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, ხარისხის ნიშანთან დაკავშირებული რეგულაციის პრეზენტაცია ჩაისა და თაფლის ფესტივალს სიმბოლურად დაამთხვიეს.

„ტრადიციული კულტურის, ჩაისა და თაფლის ფესტივალს სიმბოლურად დავამთხვიეთ ხარისხის ნიშანთან დაკავშირებული რეგულაციის პრეზენტაცია. ქართული ჩაი თავისი ხარისხითა და საგემოვნო თვისებებით გამორჩეული იყო და დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ჩვენ შევძლებთ ხარისხიანი ქართული ჩაი მსოფლიო ბაზარს შევთავაზოთ. ქართული თაფლი კი, ის პირველი ცხოველური პროდუქტია, რომლისთვისაც ევროკავშირის ბაზარი ღიაა და რომელიც საკუთარ ნიშას მალე დაიკავებს. რაც შეეხება ახალ რეგულაციას, ხარისხის ნიშანი პროდუქტს მეტ დაცულობას ანიჭებს. ასევე ხარისხის ნიშნის მინიჭება და მისი დაცვა უზრუნველყოფს დამატებითი ღირებულების შექმნას, აღნიშნულ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა, ხელს უწყობს აგროტურიზმის განვითარებას, სოფლის გაძლიერებას, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას, სანდოობის და ექსპორტის ზრდას“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

რაც შეეხება მწარმოებლების ხარჯს, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, თენგიზ კალანდაძის განცხადებით, ის არ იზრდება, რადგან ხარისხის ნიშანს ის მწარმოებლები იღებენ, რომლებიც აკმაყოფილებენ Food Safety-ის (სურსათის უვნებლობა) მოთხოვნებს და რომლებსაც გავლილი აქვთ ინსპექტირება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. ასევე თენგიზ კალანდაძის განაცხადებით, დღევანდელი მდგომარეობით, 17 კომპანიამ უკვე მიიღო სხვადასხვა ხარისხის ნიშანი. მათ შორის ერთ-ერთი ასეთია კომპანიაა „ცივის ყველი“, რომელიც „duty free“-ში იყიდება და რომელსაც ერთი თვეა, ხარისხის ნიშანი აქვს დატანილი ეტიკეტზე.

სამინისტროს ინფორმაციით, „ხარისხის ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების წესი“ ითვალისწინებს საქართველოში სურსათთან დაკავშირებული ხარისხის სქემების განვითარების, პროდუქტის ბრენდირების, მარკეტინგის საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის, მათი დაცვის სამართლებრივ/ინსტიტუციონალური მექანიზმების სრულყოფის და ხარისხის ნიშნის მიხედვით ნიშანდებული სურსათის პოპულარიზაციის უზრუნველყოფის საკითხებს. უწყების ცნობითვე, ხარისხის ნიშნის შემქმნელი მარკეტინგული საბჭოს მიერ, რომელსაც სამინისტროს ცენტრალური აპარატის და უწყებაში შემავალი სამსახურების წამყვანი სპეციალისტები და საქპატენტის ექსპერტები წარმოადგენდნენ, უკვე განსაზღვრულია თერთმეტი კლასიფიკაციის ხარისხი და ხარისხის აღმნიშვნელი ნიშანი (საჭიროების შემთხვევაში, ახალი ნიშნები შეიქმნება), ესენია: „დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა“, „დაცული ადგილწარმოშობის დასახელება“, „ტრადიციული პროდუქტი“, „ქართული ხარისხი“, „ბალახით ნაკვები“, „ხელით დამზადებული“, „მთის პროდუქტი“, „ტყეში ნასუქი“, „პირდაპირი დაწურვის წვენი“, „ბიოპროდუქტი“, „ბიოწარმოებაზე გარდამავალი“. სასურსათო პროდუქტზე ხარისხის ნიშნის მინიჭება ნებაყოფლობითი პროცედურაა და ხორციელდება ბიზნესოპერატორის (მწარმოებლის/დისტრიბუტორის, ექსპორტიორის) ინიციატივით. ხარისხის ნიშნის მინიჭება საქართველოს კანონმდებლობით და აღნიშნული წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდება. დაინტერესებული პირი, ხარისხის ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭებისათვის, განცხადებით მიმართავს სსიპ

- სურსათის ეროვნულ სააგენტოს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ხარისხის ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების შემდეგ საწარმო და თვით პროდუქცია ექვემდებარება მუდმივ კონტროლს მონიტორინგის გეგმის შესაბამისად და რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებები გატარდება. ხარისხის ნიშნის გამოყენების უფლება გაუქმებას ექვემდებარება იმ შემთხვევაში:

ა) თუ აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგების საფუძველზე დადგინდება სურსათის შეუსაბამობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებთან;

ბ) სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლინდება სურსათზე ხარისხის სქემებთან დაკავშირებული დასახელების და შესაბამისი ნიშნის გამოყენების უფლების ამ წესით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა.

ხარისხის ნიშნის გამოყენების უფლების მინიჭების გაუქმების შესახებ კონსესუსის გზით გადაწყვეტილებას, სააგენტოს მიერ წარდგენილი შეტყობინების საფუძველზე, მარკეტინგული საბჭო იღებს, რომლის მიღების შემდეგაც გადაწყვეტილება ეცნობება ხარისხის ნიშნის მფლობელს.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ია ექიმი მუდამ ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზეა...

ორიოდე დღის წინ რედაქციაში, საბათლოს მოსახლეობის სახელით, აქტიური ახალგაზრდის-გევორქ ჩოვუშიანის წერილი შემოვიდა. წერილის შინაარსი ასეთია: გვინდა, საჯაროდ მადლობა გადავუხადოთ ჩვენი სოფლის ოჯახის ექიმს, ქალბატონ ია ფიროსმანაშვილს, რომელიც თავის მოვალეობას უმაღლეს დონეზე ასრულებს ჩვენს მოსახლეობასთან. ყველას იღებს ისე, როგორც თავის ოჯახის წევრს, არცერთ კითხვას უპასუხოდ, ან უყურადღებოდ არ ტოვებს და სოფელში რომ ჩამოდის, ყველას სათითაოდ გვეკითხება, თუ როგორ ვართ ჯანმრთელობის მხრივ. ია ექიმი სასწრაფოზეც მუშაობს და როდესაც რაღაც საკითხზე ვურეკავთ, გამოძახებაზე მყოფი, ავადმოყოფსაც ეხმარება და თან ჩვენს დასმულ სათითაო კითხვას წყნარად და გასაგებად პასუხობს. საუკეთესო პროფესიონალია. ჩვენ, მთელი სოფელი ვაფასებთ ია ექიმს, მუდამ ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზეა, თავმდაბალი და იდეალური ქალბატონია. - გვწერენ საბათლოელები. ვინ არის ასეთი იშვიათი თბილი სიტყვების ადრესატი-მეთქი, წამიერად დავფიქრდი და თვალწინ ია ექიმი წარმომიდგა, წლების წინ მასთან პროფესიული კუთხით მქონდა კვეთა და ისიც გამახსენდა, რომ დიდი ხანია, აღარსად შემხვედრია, საერთოდაც პირველად გავიგე, რომ თურმე 6 წელია, სასწრაფო სამედიცინო სამსახურის პარალელურად, საბათლოშიც მუშაობს და ამ მოკლე დროში ხალხის ასეთი სიყვარული დაიმსახურა, ამიტომ, მასთან ინტერვიუს ჩაწერა საინტერესოდ მივიჩნიე.

ᲖᲘᲜᲘ ᲓᲝᲡᲘᲔ: **დავიბადე სოფელ გამარჯვებაში. აქვე მივიღე საშუალო სკოლის განათლება და შემდეგ დავამთავრე ასტრახანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი 1993 წელს. ამავე წლიდან მუშაობა დავიწყე სოფელ გამარჯვებაში. 1995 წლიდან ვმუშაობ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმად, პარალელურად ვმუშაობდი ექიმ-რეაბილიტოლოგად(1997-2012 წწ).2013 წლიდან კი მუშაობა დავიწყე სოფელ საბათლოშიც.**

-ქალბატონო ია, მოგვიყევით თქვენს პროფესიაზე, მიზნებსა და სამომავლო გეგმებზე, ადამიანებთან ურთიერთობებზე...როგორ მოახერხეთ, რომ ასე უყვარხართ საბათლოს მოსახლეობას და ასეთი მადლიერნი არიან თქვენი, როგორ მოგწონთ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები და რას გამოარჩევთ ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში ყველაზე მეტად?

-ექიმის პროფესია რამდენადაც რთულია, იმდენად საინტერესოცაა. ადამიანები სხვადასხვა ხასიათისანი არიან, მაგრამ ერთნაირად ითხოვენ ექიმისგან ყურადღებას, უნდათ მაქსიმუმი მიიღონ. გულისხმიერება ყველა ექიმს სისხლში აქვს, თუმცა, სხვადასხვანაირად გამოვხატავთ. ცოდნას და პროფესიონალიზმს კი პაციენტები შორიდან გრძნობენ. მეც ვცდილობ ადამიანებს, შეძლებისდაგვარად, დავეხმარო. ცოტათი მაინც შევუმსუბუქო ტკივილი ან განცდა. სასწრაფოში ეს განსაკუთრებით საჭიროა. პირველი შოკი და მდგომარეობის სიმძაფრე სწორედ აქ იგრძნობა. მოსახლეობისგან ხშირად დაუმსახურებელი აგრესიაც მოდის. არიან ადამიანები, სულ მცირედს გაუკეთებ და მთელი სიცოცხლე მადლობლები გრჩებიან, ღიმილით გხვდებიან, მადლობას გიხდიან, გლოცავენ.ზოგს კი, თანაც რომ გადაყვე, არ უნდა, არ დაინახავს.

როცა შემომთავაზეს საბათლოში მუშაობა, ცოტა დავიბენი, შემეშინდა. ვიფიქრე, შორია, ენა არ ვიცი, თავს როგორ გავართმევ-მეთქი. მაგრამ, სასწრაფოს გამოცდილება, კრიტიკულ სიტუაციებში მართვის უნარი გამომადგა. მოსახლეობამაც კარგად მიმიღო. ექთანი-ანუშ საფარიანი, მცოდნე, თბილი და გულისხმიერია, დაუზარებლად დამყვებოდა თან, თარჯიმნობით გვეხმარებოდა და გვიადვილებდა გაცნობის, ერთმანეთთან შეგუების მომენტს. ის აგვარებდა კიდეც ზოგ პრობლემას. მოგეხსენებათ, ასე შორს, სადაც არ არის აფთიაქი, არ მოძრაობს ტრანსპორტი, როგორი ძნელია ცარიელი ხელებით დაეხმარო ადამიანებს. მაგრამ ტელეფონით ან პირადი საუბრით მაინც აგვარებს საქმეს, წამლის შოვნა იქნება ეს თუ ექიმის კონსულტაცია. ხშირად გვიან ღამითაც დაურეკავს და გარიჟრაჟზეც, რჩევის საკითხავად. პაციენტების მდგომარეობა და თანმხლები დაავადებებიც სულ ზეპირად ახსოვს, რითაც ბევრად მიადვილებს საქმეს.

პირველ პერიოდში უფრო ნაკლებად მომმართავდნენ, მერე და მერე ხშირად, ახლა მოვლენ, საქმის გარეშეც მომიკითხავენ-ხოლმე. რასაც სიტყვით ვიგებთ, ხომ კარგი,რასაც-ვერა, ღიმილით ვპასუხობთ. გახსოვთ ალბათ, ორიოდე თვის წინ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციის წევრები უსინათლო ანა ბებოს მოსაკითხად იყვნენ სოფელში. მათთან ერთად ექიმებიც. მოხუცმა მადლობის სათქმელად იკითხა სახელები. ერთ-ერთი ჩემი სეხნია იყო. სახელი რომ უთხრა, ია მქვიაო, ანა ბებომ უპასუხა: არა, შენ ჩემი ექიმი არა ხარ, ჩვენს ია ექიმს სხვანაირი ხმა აქვსო. მე ვერც წარმოვიდგენდი, ასე თუ შეეძლო ჩემი გამორჩევა ამდენ ხალხში. როცა ვუთხარი აქა ვარ, ხომ არაფერი გინდა-მეთქი, არა, გამიკვირდა ხმა რომ ვერ გავიგეო. ასე, დამირეკავენ, მკითხავენ, სად ჯობია გამოკვლევების ჩატარება, ან ოპერაცია, ან მკურნალობა. მეც ვცდილობ, დამაკმაყოფილებელი პასუხი გავცე, თუ შესაძლებელია აქვე რაიონში გაკეთდეს ყველაფერი, თუ წასვლაა და სწორი მიმართულება მივცე. ძალიან ძნელია, ამხელა მანძილზე მგზავრობა, მოგეხსენებათ რა გზაცაა, თანაც მხოლოდ ერთი სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს, დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი რეისი, კვირა დღეს კი ისიც არ არის. უამინდობაში, როცა ჩემი მსუბუქი მანქანით გადაადგილება შეუძლებელია, ამ რეისით ვმგზავრობ-ხოლმე, ამ „კომფორტის“ გემოც ვიცი. ხალხსაც ზედმეტად წვალება რომ არ დაჭირდეს, რამდენჯერ ანალიზის პასუხები თვითონ ამიღია და ტელეფონზე დავკავშირებივარ დანიშნულების მისაცემად, ან აფთიაქში მისულებს დაურეკავთ ჩემთან დასახმარებლად. ასე 6 წელი. ამ დროში მივეჩვიე კიდეც, ტრადიციებსაც გავეცანი. განსაკუთრებით ვკითხულობ მოხუცებს, გადაადგილება რომ უჭირთ და ჩვენგან მხოლოდ ყურადღება სჭირდებათ.

ასე ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ის ურთიერთობები, რაც მე ამ სოფლის მოსახლეობასთან მაქვს. ახლანდელი ჯანდაცვის რეფორმები: რეცეპტები, მიმართვების აუცილებლობა ოჯახის ექიმისგან, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები კი უფრო მეტ ურთიერთობას საჭიროებს ექიმსა და პაციენტს შორის. მეტადაც შეგიძლია პაციენტს დაეხმარო. მიაწოდო ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ, დაეხმარო ჩართულობაში.

P.S. და მაინც, ვერ ვიკავებ თავს, გამოვხატო გაკვირვება, მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს მადლობები. მადლიერება სათუთი გრძნობაა... თვითონ ვარ ამ ადამიანების მადლიერი. მეგონა, მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდი, დანარჩენი კი წვრილმანებია. მათ სწორედ ეს „წვრილმანები“ შენიშნეს და ასე გამოხატეს.

– დიდი მადლობა, ია ექიმო, საინტერესო საუბრისთვის და ჩვენგან ასე შორს მცხოვრებ ჩვენს თანამოძმეებთან ერთი დღით მიახლოების და მათი ცხოვრების ახლო რაკურსით წარმოჩენისთვის.

მოამზადა ᲔᲚᲖᲐ ᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

მუსიკის გარეშე ცხოვრება, უბრალოდ, შეცდომა იქნებოდა

„მუსიკის გარეშე ცხოვრება, უბრალოდ, შეცდომა იქნებოდა“ — ამბობს ნიცშე და ამაში ყველა ვეთანხმებით. მუსიკის გარეშე ცხოვრება შეცდომასთან ერთად, ძალზე მოსაწყენი და უღიმღამოც იქნებოდა. მუსიკა საოცრად მოქმედებს ჩვენს ემოციებზე. იგი გვამშვიდებს, აღგვაფრთოვანებს, განწყობას გვიმაღლებს, შთაგონების წყაროდ გვექცევა და, შესაძლოა, თვალზე ცრემლიც კი მოგვგვაროს. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ადამიანი მუსიკის სიყვარულს პატარა ასაკიდან იწყებს.

13 ივნისს, სწორედ მუსიკის სიყვარულმა გააერთიანა არბოშიკის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებმაც წლის შემაჯამებელი კონცერტი გამართეს და თავიანთი წლის შრომა მშობლებსა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს. მოცარტი, ვებერი, ბეთჰოვენი, თევდორაძე, შაინსკი - ეს იმ კომპოზიტორების მცირე ჩამონათვალია, რომელთა ნაწარმოებებიც სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს და დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთხელ აზიარეს კლასიკური მუსიკის ძალას. „ჩვენი კონცერტის ძირითადი ნაწილი პირველ კლასელებზე მოდიოდა, რადგან წლევანდელ ნაკადში პირველ კლასში შედარებით მეტი მოსწავლეა. ბავშვებმა, მასწავლებლებთან ერთად, მთელი წელი იმუშავეს და სწორედ ეს მუშაობა შევაფასეთ დღეს დამსწრე საზოგადოებასთან ერთად. ბავშვების სიმცირემ გავლენა იქონია იმაზეც, რომ წელს გამოსაშვები კლასი არ გვყავს. იმედი მაქვს, მუსიკის სწავლების მიმართ სამომავლოდ ინტერესი გაიზრდება როგორც ბავშვებში, ასევე მშობლებშიც“ - აღნიშნავს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას არბოშიკის სამუსიკო სკოლის უფროსი ლალი ბაღაშვილი. ინდივიდუალური გამოსვლების გარდა, ასევე შეფასდა საგუნდო მუშაობაც, სადაც წარმოდგენილი იყო შემდეგი საგუნდო სიმღერები: „ერთი ია შენ“, „სასეირნოდ“, „მზეო, ამოდი მზეო“, „ჩემი საქართველო“, „ჯადოსნური ჯოხი“. ქართული ხალხური სიმღერები, პედაგოგ ნინო ბიძინაშვილის ხელმძღვანელობით, წარმოადგინეს სამუსიკო სკოლაში არსებული ფანდურის შემსწავლელი წრის ბავშვებმა: მათე ბაღაშვილმა, გიგა ტეტელოშვილმა, გიორგი ასანიშვილმა, მარიამ ბაღაშვილმა და მთლიანმა გუნდმა, რომლებმაც გააცოცხლეს ისეთი სიმღერები, როგორიცაა: „არხოტის ცასავით“, „ხვალ მივდივარ ალაზანზე“, „აფხაზი ვარ“ და ა.შ. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები: ალადაშვილი სოფია, ბაღაშვილი გიორგი, გონაშვილი ნია, ზაზაშვილი მარიამი, ზაზაშვილი სალომე, სეფიაშვილი ბარბარე, იაკობიშვილი დავითი, სეფიაშვილი ნატალი, ტეტელოშვილი გიგა, ბაღაშვილი მარიამი და მასწავლებლები: ლალი ბაღაშვილი, ირმა მეხრიშვილი და თამარ ალადაშვილი მომავალ სასწავლო წლამდე დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ახალი წარმატებებისკენ აიღეს კურსი.

P.S. პატარა მოსწავლეების ემოციებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მუსიკა ემოციის და ემოცია მუსიკის გარეშე ხშირად წარმოუდგენელია. მუსიკის საშუალებით, ბავშვებმა და პედაგოგებმა ერთმანეთის ის შინაგანი სამყარო აჩვენეს, რომელსაც ხშირად ადამიანები ვერ ვხედავთ. „შინაგანი სამყაროს გადმოცემა ბგერებით, ყოველგვარ სხვა საშუალებათა დახმარების გარეშე, მუსიკის უდიდესი და უძვირფასესი თვისებაა“ — უთქვამს გოეთეს და სწორედ ამ თვისების რეალური გამოვლინებაა თითოეული ის დღე, როდესაც ადამიანი მუსიკით ატარებს და სრულყოფილად შეიგრძნობს მას.

ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲧᲐᲜᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

1957 WLIS SASOFLO-SAMEURNEO MOSAVLIDAN SAXELMWIFO DAMZADEBATA ORGANIZEBULAD CATARE - BISTVIS MTAVARS TEQNIKURI BAZIS -SA TANADOD MOMZADEBA WARMOADGENS. AM MIMARTULEBIT PUR-PRODUQTEBIS DA- MZADEBIS WITELWYAROS PUNQTIS KO- LEQTIVMA ERTGVARI SAMUSAOEBI CAATA RA: WESRIGSI MOIYVANA TIVIS MIMREBI MOEDANI, UKVE DAMTAVRDA TIVIS DASAI GMELI MOEDNEBIS GAWMENDA-GASUFTAVEBA, MISASVLELI GZEBIS MOXREVSA, MZADYOFNA SIA XANZARSAWINAARMDEGO MOWYOBILOBANI, TERITORIA UZRUNVELYOFILIA RAMIS GA- NATEBIT, SEKETEBULIA WVRILMANI INVENTA RI, SEMOWMEBULI DA DADGMULIA SASWORE- BI DA GIREBI. MAGRAM, MIUXEDAVAD YVELA AMISA, AQ JER KIDEV YVELAFERI RIGZE AR ARIS. TIVIS PUNQTSI DARCENILIA GASU LI WLIS DAMZADEBULI TIVIS GARKVEULI RAODENOBA, SAWIROA MISI DROULAD GA- DAGZAVNA DA PUNQTIS TERITORIIS GANT- VIRTVA AXALI MOSAVLIS MIREBISATVIS.

ROGORC CNOBILIA, MARCVLEULIDAN YVELAZE ADRE DAMZADEBIS PUNQTMA QERIS MOSAVALI UNDA MIIROS. MIUXEDAVAD AMI SA, QERIS CASAYRELAD GATVALISWINEBULI SAWYOBI MOUMZADEBELIA. MARTALIA,CATARDA MISI SETETREBA DA SAKALATOZO SAMU- SAOEBI, MAGRAM IATAKIS MOASFALTEBA WIA- NURDEBA. GARDA AMISA, SAWIROA DAMTAVR DES SASIMINDE FARDULIS MOWYOBA, RATA 1957 WLIS MOSAVALI SEUFERXEBLAD IQNES MIREBULI.

DAMZADEBIS PUNQTIS DIREQCIAM GADA- MWRELI ZOMEBI UNDA MIIROS DARCENILI SAMUSAOEBIS DAMTAVREBISATVIS AXALI -MO SAVLIS MIREBAMDE.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) 1. ფეხბურთის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ალმის აღმართვა; 2. წითელწყაროს რაიონის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი; 3. მცხეთისა და წითელწყაროს რაიონების ფეხბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

1957 წელი, 5 ივნისი.

WARSUL WLEBTAN SEDAREBIT, WELS CVE NI RAIONIS FEXBURTELTA NAKREBI GUNDI MOMZADEBULI SEXVDA SAQARTVELOS SSR 1957 WLIS PIRVELOBAZE GATAMASEBIS SEZONS. MA GRAM MIUXEDAVAD AMISA, MAT SESAZLEBLOBAZE DABLA CAATEARES 4 SEXVEDRA, ROMLIDANAC 3 TAMASI FRED DA ERTI MOGEBIT DAAMTA- VRESS. AMRIGAD, CVENMA SPORTSMENEBMA -DA AGROVES 5 QULA DA GATAMASEBIS CXRILSI MEORE ADGILZE ARIAN.

* * *

RAIONIS KOLMEURNEOBEBSI MATYLIS WAR- MOEBA AM UKANASKNEL WLEBSI MNISVNELOVNAD GAIZARDA. ASE, MAGALITAD, 1953 WELSI, TU TVITEUL CXVARZE SASUALOD MIREBULI IYO 2KG. MATYLI, 1956 WELS MIREBULIA 3,1 KG. GASUL WLEBTAN SEDAREBIT, 1956 WEL- SI MNISVNELOVNADAA SEMCIREBULI CXVRIS BERWIANOBA DA DACEMA.

CALKEULMA KOLMEURNEOBEBMA GARKVEUL WARMATEBEBS MIARWIES MEURNEOBIS AM DARGSI. MAGALITAD, SOFEL ZEMO MACXAANIS STALINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBASI 1 CXVARZE GA PARSULIA 3,7 KG. MATYLI. XOLO CALKEUL- MA BRIGADEBMA 4,5-4,7 KG. MIIRES. YOVEL 100 DEDACXVARZE MIIRES DA GAMOZARDES 92 BATKANI, XOLO CALKEUL BRIGADEBSI 100-ZE METI BATKANIC GAMOZARDES.

MATYLIS MIREBIS MARAL MACVENEBLEBS ARWEVEN MIRZAANELI MECXVAREEBI, ROMELTAC TVITEUL CXVARZE GAPARSES 3,6 KG, XOLO MOSE XARASVILIS BRIGADAM TVITEUL CXVAR ZE 4 KG-ZE METIC MIIRO.

ASETIVE MACVENEBLEBIT XASIATDEBIAN -JA FARIZIS, ARBOSIKIS, WITELWYAROS LENINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBEBIS MECXVAREOBIS FERMEBIDAN CALKEULI BRIGADEBI. MAGRAM, MIUXEDAVAD YVELA AMISA, MECXVAREOBIS GANVI TAREBA DA PRODUQTIULOBIS ZRDA MAINC ARADAMAKMAYOFILEBELIA IM REALUR SESAZLE- BLOBEBTAN SEDAREBIT, RAC CVENS KOLMEUR- NEOBEBS GAACNIAT.

MARTO IS FAQTI, ROM RAIONIS KOL- MEURNEOBEBSI 1956 WELSI, 1953 WELTAN SE - DAREBIT, CXVRIS SULADOBA MNISVNELOVNAD SEMCIRDA, IMAZE LAPARAKOBS, ROM SOFLIS MEURNEOBIS AM DIDIMNISVNELOVAN DARGS JER KIDEV SATANADO YURADREBA AR EQCEVA.

PATARA MNISVNELOBA RODI AQVS MECX VAREOBIS DAKOMPLEQTEBAS KARGI, PATIOSA NI DA SAQMISMCODNE ADAMIANEBIT DA ARA SEMTXVEVIT MIREBULI PIREBIT, ROGORC AMAS CVENTAN BEVRGAN AQVS ADGILI.

1957 წელი, 7 ივნისი.

YANEBI MOMWIFDA. ES UFRO SESAMCNEVI GAXDA DABLOB ADGILEBSI. AMITOM MTS- EBMA PIRVELI KOMBAINEBI ALAZNIS VELISAKEN GAGZAVNES.

RAIONSI QERIS MOSAVLIS AREBA PIR VELMA DAIWYO WITELWYAROS MOLOTOVIS SAXELOBIS KOLMEURNEOBAM ALAZNISPIRA NAKVETEBSI-`AMALOZE~.

MKAZE MUSAOBS WITLIS MTS-IS KOMBAINE- RI SALVA MOSASVILI. AREBULIA PIRVELI 25 HEQTARI.

2-3 DRESI KOMBAINEBI SEVLEN SABATLOS KOLMEURNEOBIS QERIS NAKVETEBSI.

1957 წელი, 9 ივნისი.

SOFEL JAFARIZIS SAKOLMEURNEO KULTURIS SAXLSI CAMOYALIBDA AGITMXATVRULI BRIGADA, ROMELIC MOMSAXUREBAS GAUWEVS KOLMEURNEEBS MOSAVLIS AREBIS PERIODSI.

AMJAMAD MXATVRULI BRIGADA AMZADEBS ERT MOQMEDEBIAN SKETCEBS, SIMRERERBS, CEKVEBS DA SXV.

* * *

KOLMEURNEOBIS MEMINDVREOBISA DA MEVE NAXEOBIS BRIGADEBMA WELS SEQMNES MEABRE SUMEOBIS RGOLEBI, ROMLEBIC SEUDGENEN ABRESUMIS WIIS GAMOKVEBAS. DAWINAURDA MEMIN DVREOBIS KOMPLEQSURI BRIGADIS MEABRESUME QALTA RGOLI. MANIA MACABLISVILI, ANETA ASANISVILI, MERI, QETO, NADIA ALADASVILEBI, ELIKO BARASVILI SAUKETESOD KVEBAVEN WIAS.

KOLMEURNEOBIS YVELA RGOLSI MALE DAIWYEBA ABRESUMIS PARKIS AXVEVA.

სპეციალისტის რჩევა

ჩვენს რაიონში არსებულ ბზებში გაჩნდა მავნებელი, რომელიც აზიანებს მცენარეებს. ბევრმა მოსახლემ მომმართა და ითხოვა შველა. ბზაზე არსებობს ორი სახეობის მწერი. ერთი არის მუხლუხა „კუნელის თეთრულას“ მატლი, რომელიც მთლიანად ჭამს ფოთლებს. მეორე მავნებელია ტკიპების ნაირსახეობა. იგი იკვებება ფოთლების რბილობით. მის მიერ ძლიერად დაზიანების შემთხვევაში მცენარე ხმება.

საჭიროა ორივე მავნებლის საწინააღმდეგოდ გამოვიყენოთ პრეპარატი „დეცისი“. 16 ლიტრიან აპარატში წყალთან ერთად მოათავსეთ პრეპარატი 50 გრამის ოდენობით და შეასხურეთ მცენარეს. წამლობა გაიმეორეთ ორი კვირის შემდეგ. დაიცავით უსაფრთხოების წესები.უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვებმა არ მოტეხონ შეწამლული ტოტები და იმით არ ითამაშონ. პრეპარატი ძლიერი შხამია და გაფრთხილდით!

მცენარეთა დაცვის სპეციალისტი
ენტომოლოგი მერაბ როგიტაშვილი

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა...“



„ამ სცენას ახსოვს მის მიერ შესრულებული ულამაზესი ილეთები. მე დღეს ძალიან ვღელავ, რადგან ძალიან იშვიათია, როდესაც ასეთი ახალგაზრდა ადამიანის ხსოვნის საღამო იმართება. ამიტომ მე დღეს მასზე წარსულ დროში არ ვილაპარაკებ. ის დღეს ჩვენთან, ანსამბლ „იმედთან“ ერთადაა“-ემოციები ვერ დაფარა გიორგი კვიწინაშვილის სხოვნისადმი მიძღვნილი საღამოს წამყვანმა, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიაშვილმა. მთელი საღამო ასეთი ემოციით იყო დატვირთული. გიორგი კვიწინაშვილი გაიხსენეს მისმა მეგობრებმა, სპეციალურად ამ საღამოსთვის თბილისიდან ჩამოვიდა მომღერალი გია დავითიანი, რომელმაც გიორგის საპატივსაცემოდ სიმღერები შეასრულა.

სევდით და უდიდესი ტკივილით იყო გაჯერებული მთელი საღამო...

სცენაზე გაცოცხლდა გიორგის ბავშვობის ამსახველი მინი-სპექტაკლი, რომელიც მისმა მეგობრებმა მისი ხსოვნის უკვდავყოფას მიუძღვნეს...

ანსამბლ „იმედის“ მოცეკვავეებს, გარკვეულ ეტაპზე შეყვეტილი მუსიკის ფონზე უწევდათ საცეკვაო ილეთების შესრულება, ეს კი იმისი ნიშანი იყო, რომ გიორგიც ამ დღეს კვლავ მათთან ერთად იყო...

ღონისძიებას ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი კაპანაძე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე და გიორგი კვიწინაშვილის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

გიორგი კვიწინაშვილის ხსოვნის პატივსაცემად ანსამბლმა სახელიც შეიცვალა - ამიერიდან მას „გიორგელები“ ერქმევა.

19 წლის დედოფლისწყაროელი გიორგი კვიწინაშვილი 2018 წლის იანვარში ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა. გიორგი ანსამბლ „იმედის“ (ახლა კი უკვე „გიორგელების“) გამორჩეული სოლისტი იყო.

საღამოს დასრულების შემდეგ, ანსამბლის წევრებმა და მეგობრებმა, ოჯახის წევრებთან ერთად, გიორგი კვიწინაშვილის საფლავთან მოიყარეს თავი. აქ კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი მის ხსოვნას.

ერთ პოეტს უთქვამს, - კარგი გამოგონებაა სასაფლაო - ადამიანთა ოცნებების, ფიქრების, მისწრაფებების მყუდრო ნავთსაყუდელიო. საფლავების ქვებიდან მომზირალი სახეები გვაფიქრებენ ადამიანის არსებობაზე, მის არსსა და დანიშნულებაზე, სიკვდილის შეუცნობელი საიდუმლოს წინაშე კრძალვასა და განცვიფრებას განგვაცდევინებენ. სიცოცხლის სიყვარულით ნაკვები მათი სევდა და ღიმილი ღრმად აღიბეჭდება ხსოვნაში და ჩვენსა და მათ შორის უხილავ ძაფებს აბამს. სასაფლაო სიკვდილის წყნარი და იდუმალი სიმღერაა, რომლის გარეშე სიცოცხლის სიმღერაც უშინაარსო იქნებოდა, რადგან სიკვდილი სიცოცხლის ჭეშმარიტ ფასს გვაგრძნობინებს: ,,ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა, და შენ, სიკვდილო, ფასი გძე სიცოცხლის ნაწყენობითა“ (ვაჟა). სიცოცხლე და სიკვდილი, ისევე როგორც საფლავები და მათზე ამოსული ყვავილები, ბუნების წესით, ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობენ, ერთმანეთით ცოცხლობენ და ერთმანეთს ასაზრდოებენ...

ინგა ჭიოლაშვილი

მეუღლე ნელი სეხნიაშვილი, შვილები: მიშიკო, ნუგზარი მახარაშვილები, რძლები: ეკა მესხი, ირა სარქისოვა, შვილიშვილები: ირაკლი, ჭაბუა, ნინო, ციცია, მახარე მახარაშვილები, ძმები: ვასიკო და როლანდი ოჯახებით იუწყებიან

რიჩარდ მახარაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 ივნისს ქ. დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქ. №49, ბინა №8.

ივერი ჭუჭულაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს მეუღლეს- მაისოს, შვილებს – იას და გიორგის, ძმას - კაენს

აბელი ალადაშვილის

გარდაცვალების გამო.

რა სურთ ბავშვებს?



გამარჯობა. მე ვარ ლუკა ქისტაური. ვცხოვრობ დედოფლისწყაროში და ვარ 14 წლის. ძალიან მიყვარს ჩემი რაიონი, რომელსაც „პურის ბელელსაც“ უწოდებენ. თვალუწვდენელ შირაქის ველზე ხორბალს თესავენ. ივნისში ყანა ოქროსფრად ღელავს. ბევრი ფერმერი და გლეხი პურის მკას ამ დროს იწყებს. თუ კარგი მოსავალია, ყველა ბედნიერია. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება. როგორც ამბობენ, ჩვენს რაიონს გაუდაბნოება ემუქრება და ნალექის ნაკლები რაოდენობა მოსავალზეც უარყოფითად აისახება. სწორედ გაუდაბნოების ბრალია, წყალიც რომ გრაფიკით გვაქვს ზაფხულობით. იცით, ყველაზე მეტად რა გვინდა მე და ჩემს თანატოლებს? – საცურაო აუზი.

ზაფხულში ეს გაგრილების საუკეთესო საშუალება იქნებოდა ჩვენთვის. თან, როგორც იცით, ცურვა ძალიან კარგია ჯანმრთელობისთვის. სწორედ ამიტომ, ბევრი ბავშვი სხვა რაიონებში დადის ამის გამო. მაგრამ ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ყველას მშობელს არ აქვს იმდენი ფული, რომ შვილი საცურაო აუზზე ატაროს, ისიც სხვა მუნიციპალიტეტში. თუ ვინმე მიიტანს გულთან ახლოს ჩვენს ოცნებას, ძალიან ბედნიერები ვიქნებით.

დედოფლისწყარო გამორჩეულია უნიკალური ბუნებით. დასახლებულ პუნქტთან ახლოს მდებარეობს „არწივის ხეობა“, რომლის სანახავად უამრავი ადამიანი მიდის. ყველაზე გულსატკენი კი ისაა, რომ ბუნების მონახულებისა და იქ ქეიფის შემდეგ, ბევრი მათგანი ტოვებს ნარჩენებს-პლასტმასის ბოთლებს, ერთჯერად თეფშებს, ჭიქებს...

კარგი იქნება, თუ მეტი ყურადღება მიექცევა ამ ადგილს, რომელიც ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის საუკეთესოა. ვფიქრობთ, აქ უნდა ჩატარდეს დასუფთავების აქციები, თან საკმაოდ ხშირად, რადგან აქ ბევრი ნაგავია და წყალიც ძალიანაა დაბინძურებული.

ჩვენი სურვილია, რომ სუფთა, უსაფრთხო და საინტერესო გარემოში ვცხოვრობდეთ ახალგაზრდები და სხვაგან წასვლის სურვილიც არასდროს გაგვიჩნდეს!

„არტ-გენი 2019“-ის დებიუტანტები

16 ივნისს, ქართული ფოლკლორისა და თვითშემოქმედების ყოველწლიური ფესტივალი „არტ-გენი“ საზეიმოდ ახმეტაში გაიხსნა. ე.წ. წყაროების ტყე-პარკში მოეწყო ნახატებისა და ხალხური რენვის ნიმუშების გამოფენა, კულინარიული, ღვინისა და ლუდის კუთხეები, ბავშვთა გასართობი სივრცეები, ჰამაკის ზონები და ა.შ.

მაყურებლის წინაშე წარსდგნენ რეგიონალური ფოლკლორული ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ქართული საბრძოლო ხელოვნების შოუ „ჰოროლი“ - ქართული საბრძოლო ხელოვნებით ლელა ნაყეური, ბენდი „ჩვენებურები“, რომლის სოლისტი სოლომონ გოგაშვილი ასევე დედოფლისწყაროს მკვიდრია, და ჯგუფი „ფრანი“.

ბოლო ათწლეულში „არტ-გენი“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფესტივალია. ღონისძიების მთავარი მიზანია ფოლკლორის, ხალხური რენვის, ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების პოპულარიზაცია. ამიტომაც ფესტივალი ყოველ წელს საქართველოს სხვადასხვა სოფლიდან იწყება და თითქმის ყველა რეგიონის მოვლა შეძლო. „არტ-გენი“ ტურისტების სიმრავლითაც გამოირჩევა.

დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ვოკალურ-საკრავიერო ანსამბლი წელს დებიუტანტი გახლდათ აღნიშნულ ღონისძიებაზე. კვირას, 16 ივნისს კულტსახლის ეზოდან ვაჟთა ანსამბლი ხელმძღვანელთან, გელა გველუკაშვილთან და მშობლებთან ერთად შეუდგა ახმეტისკენ მიმავალ გრძელ გზას. ბავშვების თხოვნის გათვალისწინებით, მოვინახულეთ ილიას ტბა და ალავერდის მონასტერი, ორივე ექსკურსიით აღფრთოვანებულები დავრჩით ყველა. დადებითი ემოციებით სავსე მივიდნენ „არტ-გენის“ ფესტივალზე, სადაც ფოლკლორი უამრავი პალიტრით იყო წარმოდგენილი.

ადგილი, სადაც ფესტივალი ჩატარდა, ახმეტის მუნიციპალიტეტის წყაროების ტყე-პარკის ტერიტორიაზე, ულამაზესი იყო და ჯერ პირველი კულტურული შოკი აქ მიიღეს ბავშვებმა და ჩვენ, უფროსებმაც. მიდიხარ ტყეში აღმართ-აღმართ და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რა ულამაზესი სამშობლო გვაქვს, თავისი უნიკალური ტყე-პარკებით, რელიეფებით, კლიმატით და რომელ, ერთი ჩამოვთვალო... რაც მთავარია, ადამიანებით, რომლებიც ამ მხარეში, მომეჩვენა, რომ განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩევიან, ამავე დროს ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა ერთადა აქვთ თანაზომიერად შერწყმული. აქვე უნდა ვაღიარო, რომ პირველად ვიყავი ახმეტაში და დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი იქაურობას. გზად სულ დიდი სახლები გვხდება წამოჭიმული და სხვათაშორის, ახლადაც აშენებულ-გარემონტებული. ერთ-ერთ იქაურ ახლადგაცნობილ ქალბატონს ვკითხე, უფრო გამორჩეულად რა საქმიანობას ეწევით მეთქი. – ჩვენთან ძალიან უყვართ შრომაო, უამრავი საქონელი ჰყავს უმრავლესობასო, ხელობაზე მუშაობენ ჩვენი ბიჭები ბევრსო (კაფელ-მეტლახი, სარემონტო სამუშაოები და ა. შ.), მართალია, მარცვლეულის ბელელი არ გვაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ შრომა რომ გვიყვარს, ამიტომ ვცხოვრობთ შედარებით კარგადო. ძალიან გამიხარდა და მომეწონა ეს ამბავი. არც მათი გულთბილი მასპინძლობა გამოგვრჩენია. როდესაც შესანიშნავი გამოსვლის გამო მასწავლებელმა ბავშვები ნაყინებით დააჯილდოვა, იმავე მაღაზიის მეპატრონემ ერთი დიდი პარკი ნაყინი დამატებით მოართვა ბავშვებს საჩუქრად, დღეს ჩვენი სტუმრები ხართ ასე შორიდანო.

საქართველოს მასშტაბის მქონე ამ ულამაზეს ფესტივალს უამრავი რაიონიდან ეწვივნენ სტუმრები, მათ შორის კახეთის მხარე უფრო წარმომადგენლობითი იყო თავისი მრავალმხრივი რეპერტუარით. ჩვენი ბავშვები თელავის ქალთა ანსამბლის შემდეგ გამოვიდნენ მეორე ნომრად. ფაქტიურად, დასაწყისშივე და თავიდანვე მაყურებელთა მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს. იშვიათია, მაყურებელი გამოსვლისას ტაშით აიყოლიო, მაგრამ ჩვენებმა ეს შეძლეს, ისევე როგორც თბილისის „არტ-გენზე“ გამოსვლისას... ჩემი აზრით, მაყურებლის მიერ გამოხატული ეს ემოცია ყველა სიტყვიერ შეფასებაზე მაღლა დგას, თუმცა, არც ღონისძიების წამყვან ცნობილ ფოლკლორისტებს დაუშურებიათ საქებარი სიტყვები ჩვენი ბავშვებისთვის.

დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრში ამბობენ, რომ ამ ფესტივალში დედოფლისწყაროს მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც, ძალები არ დაიშურეს. ილია მარტყოფლიშვილის განმარტებით, მათი სურვილი იყო, წელს ფესტივალზე დებიუტანტი ანსამბლი გაეშვათ.

„იყო დრო, როცა ფესტივალი „არტ-გენი“ რამდენიმე წლის წინ დედოფლისწყაროშიც ჩატარდა, მაგრამ, რადგან წელს კახეთის რეგიონიდან გაიხსნა, უფრო დიდი ყურადღება ამ რეგიონში მოქმედ ანსამბლებს დაუთმეს. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან თითქმის ყველა ანსამბლი წინა წლებში უკვე მონაწილეობდა ამ ფესტივალში. წელს კი გვინდოდა, რაღაც ახალი შეგვეთავაზებინა მათთვის. გვქონდა მსჯელობა, დიდი ანსამბლებიც წასულიყვნენ, მაგრამ საბოლოოდ შევჯერდით, რომ ეს პრესტიჟული ტრიბუნა ამ დებიუტანტი ბავშვებისთვის დაგვეთმო. ერთი წამითაც არ დავფიქრებულვართ, როგორ გაართმევდნენ თავს ამ გამოწვევას, რადგან თითოეული მათგანის და მათი პედაგოგის იმედი გვქონდა. საბედნიეროდ, ჩვენი მოლოდინები გამართლდა, მოხარული ვარ, რომ მათ საკუთარი შესაძლებლობები ჩვენსავე რეგიონში ასეთ პოპულარულ ფესტივალზე აჩვენეს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ ამ სიხარულისთვის და დარწმუნებული ვარ, წინ დიდი წარმატებები გველის. კულტურის ცენტრი კვლავაც აქტიურად ეცდება ყველანაირად ხელი შეუწყოს ამ ბავშვებს,“ - განუცხადა „შირაქს“ კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა.

მშობლებმა მადლობა გადაუხადეს დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელს ილია მარტყოფლიშვილს და მოადგილეს თამარ ხარაშვილს, რომელთა ორგანიზებითაც ვაჟთა ანსამბლის „არტ-გენის“ ფესტივალში მონაწილეობის მიღება მოხერხდა.

„ძალიან გვიხარია, რომ დღეს ჩვენს შვილებს ამ ძალიან მნიშვნელოვან ფესტივალში მიეცათ შანსი გამოსვლის და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურეს, მაგრამ, არანაკლებ გვიხარია, რომ მოინახულეს ის ულამაზესი ღირშესანიშნაობები, რომლებიც ბევრ მათგანს ნანახი არ ჰქონდა,“ - ამბობს მშობელი ფერიდე ტვილდიანი.

„ძალიან კმაყოფილები და მადლიერნი ვართ კულტურის ცენტრის, ასე რომ ზრუნავენ ჩვენს შვილებზე, ასევე გელა მასწავლებელს გვინდა ვუთხრათ მადლობა, ჩვენს ბავშვებზე ზრუნვისთვის. მარტო სიმღერას კი არა, ზნეობრივ მოქცევასაც რომ ასწავლის. ასეთი ღონისძიებებით მეტ სითამამეს და გამბედაობას იძენენ ბავშვები,“ - განუცხადა „შირაქს“ მშობელმა მაკა კვანჭილაშვილმა.

ელზა ხარაშვილი

ულოცავენ!

ვანო ნაბროშვილს!

ბატონო ვანო, დიდი მოწიწებით და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. მოხარული ვართ, რომ ბედმა წილად გვარგუნა ისეთ ადამიანთან ურთიერთობა და მოღვაწეობა, როგორიც ბრძანდებით თქვენ. თქვენ ხართ ის ადამიანი, რომელიც, როგორც ცნობილ ექიმსა და წარმატებულ ფერმერს შეეფერება, თავისი არსებობით უანგაროდ ემსახურება დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციას.

თქვენი პატრონაჟით და მხარდაჭერით არაერთი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ: 2016 წელს თქვენი ძალისხმევით განხორციელდა პროექტი-„რუსთაველიდან გალაქტიონამდე“; თსუ-ს 100 წლის იუბილეც ღირსეულად აღნიშნა მწიგნობართა ასოციაციამ; 2019 წლის 25 თებერვალს მწიგნობართა ასოციაციის ოფისში ასევე ჩატარდა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ დადგმიდან 100 წლის იუბილე და სხვ.

მთელი გულითა და სულით გვინდა მოგილოცოთ დაბადების დღე, გისურვოთ თქვენს ოჯახთან და მედიცინის მუშაკებთან ერთად სიკეთე და ბედნიერება. დიდხანს გვეგულებოდეთ ჩვენს ლიდერად.

უღრმესი პატივისცემით,
ილია ჭავაჭავაძის სახელოგის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მწიგნობართა ასოციაცია.

ყიდება!
იყიდება მუხის და წიფელის ღვინის კასრები.
მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე:
☎ 599 99 14 00

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 24.06	სამშაბათი 25.06	ოთხშაბათი 26.06	ხუთშაბათი 27.06	პარასკევი 28.06	შაბათი 29.06	კვირა 30.06
დღე	28 °	29 °	29 °	26 °	24 °	25 °	18 °
ღამე	26 °	28 °	28 °	24 °	23 °	19 °	17 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.